

სავარჯოშო 2. ლექსიკა, ფრაზეოლოგია - შემოხაზეთ სწორი პასუხი: (30 ქულა)

11. „გზირი“ იგივეა, რაც:
ა. სოფლის მოხელე ბ. ვაჭარი გ. მეზობელი
12. რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა წყვილი?
ა. ანჩხლი, კაპასი ბ. ერთი, ორი გ. სოფელი, ქალაქი
13. „ააოხრა“ ანუ:
ა. გააგორა ბ. აიკლო გ. აირბინა
14. „სოფელსა ერთსა იყო ერთი გზირი, ანჩხლი და მტერი სოფლისა მის.“
შემოხაზეთ წინადადებაში ხაზგასმული სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა:
ა. მოყვარე ბ. სხვა გ. ნათესავი
15. მოცემულთაგან, რომელი აღნიშნავს ერთზე მეტ საგანს?
ა. სოფელი ბ. და გ. მრავალი
16. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა: „ ___ არის მუსულმანთა სასულიერო მსაჯული, მოსამართლე.“
ა. კლარჯეთი ბ. ყადი გ. მიზეზი
17. „მარჩილი“ არის:
ა. ფულის ერთეული ბ. სათნო ადამიანი გ. უხეში ადამიანი
18. „დაურჩვიათ“ იგივეა, რაც:
ა. დარჩენილან ბ. გაუსწრიათ გ. დაუხრჩვიათ
19. რომელ წინადადებაში არის ფიცის ფორმულა?
ა. ჩვენი გზირი დაურჩვიათო.
ბ. გაფიცებთ ღმერთსა, რა მოვკვდე, თოკი ყელს მომაბით.
გ. რა მოკვდა, სცთნენ კაცნი იგი და, რაც უთხრა, ყველა ჰყვეს.
20. „დაუწყეს გინება გზირსა: ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო!“
წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა შეცვალეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვით.
ა. ქება ბ. ლანძღვა გ. დიდება

სავარჯოშო 3. გრამატიკული ნაწილი - შემოხაზეთ სწორი პასუხი: (30 ქულა)

21. რომელია საკუთარი არსებითი სახელი?
ა. კლარჯეთი ბ. სოფელი გ. მტერი
22. რა კითხვა დაესმის წინადადებაში ხაზგასმულ სახელს? „მოვიდა დღე გზირის სიკვდილისა.“
ა. რა? ბ. ვინ? გ. რამდენი?
23. რა კითხვა დაესმის წინადადებაში ხაზგასმულ სახელს?
„გაფიცებთ ღმერთსა, რა მოვკვდე, თოკი ყელს მომაბით.“
ა. რა? ბ. ვინ? გ. რამდენი?
24. შემოხაზეთ თანიანი მრავლობითის ნიმუში:
ა. ერთი ბ. კაცნი გ. თათართა
25. შემოხაზეთ სიტყვა, რომელიც არ აღნიშნავს ერთზე მეტ საგანს:
ა. კაცნი ბ. თათართა გ. ყელი
26. რომელ სიტყვას დაესმის კითხვა „რამდენი“?
ა. გაფიცებთ ბ. კაცი გ. ბევრი
27. „მუთქვენთვის ბევრი შემიცოდებია.“ წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა არის:
ა. არსებითი სახელი ბ. ზედსართავი სახელი გ. ნაცვალსახელი
28. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშანი არასწორად დასმული?
ა. ათასი მარჩილი, წაართვეს.
ბ. ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო!
გ. მოვიდა დღე გზირის სიკვდილისა.
29. რომელ ბრუნვაში დგას წინადადებაში ხაზგასმული არსებითი სახელი? „დაუწყეს გინება გზირს.“
ა. მოთხრობითში ბ. მიცემითში გ. ნათესაობითში
30. შემოხაზეთ ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელი:
ა. გზირი ბ. მარჩილი გ. სოფლის

